ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3830608

ნომერი: AR1575141

თარიღი : 05.02.2018

გაცემის თარიღი : 20.02.2018

გაცნობის თარიღი : 21.02.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 37 / ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 37 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , წყნეთის გზატკეცილი N37-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ ლაბაძე პ/ნ 01012004980
- თბილისი მცხეთის გას. N 13

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018წლის 5 თებერვლის #AR1575141 განცხადება, რომლითაც ითხოვთ 2007წლის 2 მაისის №4167 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას და ფუნქციურ დანიშნულებაში დამატებით დამოუკიდებელი სავაჭრო ობიექტის განთავსების დაფიქსირებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ცალკე მდგომი სავაჭრო ობიექტის განთავსების აუცილებლობა სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია, რადგან შესაძლებელია უკვე შეთანხმებული პროექტის მიხედვით მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პირველი სართულები დაიტვირთოს საზოგადოებრივი ფუნქციით და კომერციული ფართებით. ასევე სადაც მითითებულია სავაჭრო ობიექტის განთავსების ადგილი სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნშნული ტერიტორია შენარჩუნებულ იქნეს როგორც გამწვანებული ტერიტორია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლიბა განიხილოს თქვენი 2018 წლის 5 თებერვლის #AR1575141 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.